

ტრავმა და იდენტობა თანამედროვე ჩინურსა და ქართულ რომანებში
(იუ ხუას ცხოვრება და ოთარ ჭილაძის გოდორი)

ანა გოგუაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გოგუაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ტრავმა და იდენტობა თანამედროვე ჩინურსა და ქართულ რომანებში (იუ ხუას *ცხოვრება* და ოთარ ჭილაძის *გოდორი*), ჩინეთისა და საქართველოს ისტორიაში ტრავმული მოვლენების მსგავსებებმა გადაგვაწყვეტინა საკვლევად წინამდებარე თემის შერჩევა.

კვლევის მიზანი არის შეისწავლოს პოსტმაოური ჩინეთისა და პოსტსტალინური საქართველოს წარსული ტრავმების რეპრეზენტაციის თავისებურებები რომანებში. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზის მეთოდი, კულტურული მეხსიერების თეორია და კოლექტიური ტრავმის თეორია. კვლევის თეორიული ჩარჩო: ტრავმის თეორია და კოლექტიური მეხსიერების თეორია. პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით, ვპასუხობთ წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანსა და დასმულ საკვლევ შეკითხვებს: რა ადგილი უჭირავს *ცხოვრებას* იუ ხუას შემოქმედებაში და *გოდორს* ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში? რა არის ამ ორ რომანში ზოგადი მსგავსებები და განსხვავებები? როგორ არის წარმოდგენილი წარსული ტრავმული გამოცდილება კვლევისთვის შერჩეულ ჩინურ და ქართულ რომანებში?

წინამდებარე ნაშრომის ძირითად ნაწილში განვითარებული მსჯელობის შეჯამებისთვის და განზოგადებისთვის, გთავაზობთ კვლევის მიზნის მისაღწევად დასმულ საკვლევ შეკითხვებზე პასუხებს:

კვლევა აჩვენებს, რომ ორივე რომანი *ცხოვრება* და *გოდორი* არის გავლენიანი თანამედროვე რომანები. ორივე მათგანში ასახულია ტოტალიტარული რეჟიმის მანკიერი სახე, თუმცა ოთარ ჭილაძესთან პერსონაჟებისა და ქვეყნის ვითარების განსჯა ღიად ხდება, როცა იუ ხუა ამას შეფარვით აკეთებს; განსხვავებები განპირობებულია ჩინური ტრადიციული კულტურის თავისებურებებით, რაზე

ამოფარებითაც ჩინელი ავტორი ახერხებს ცენზურისთვის გვერდის ავლას; ორივე რომანში არის ხაზგასმა სიცოცხლის მნიშვნელობაზე, თუმცა მის მნიშვნელოვნებაზე ავტორების ხედვა განსხვავებულია.

ქართველი ავტორისთვის სიცოცხლე ღირს თუნდაც იმისთვის რომ იბრძოლო. იუ ხუასთვის ნებისმიერ შემთხვევაში ღირებულია; კვლევის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ ორივე რომანში ტრავმა არის ასახული, თუმცა სხვადასხვა ხერხით. კერძოდ კი, რომანში *ცხოვრება* არის წარმოდგენილი განმეორებითობით, ხოლო *გოდორში* - ფრაგმენტული თხრობით.

ნაშრომი ღირებულია როგორც თეორეტიკოსი მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის. საკითხის გონივრული გააზრება დაემყარება წინამდებარე ნაშრომში მოყვანილ ანალიზსა და შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა და იდენტობა, იუ ხუა, *ცხოვრება*, ოთარ ჭილაძე, *გოდორი*

Abstract

The paper examines Trauma and Identity in contemporary Chinese and Georgian novels (Yu Hua's *To Live* and Otar Chiladze's *The Basket*).

The study's goal is to look into the differences in how past traumas are represented in post-Mao China and post-Stalin Georgia novels. We used a comparative analysis method, Cultural memory theory and Collective trauma theory. A theoretical research framework: Trauma theory and Collective memory theory. we answered the purpose of the current study and the research questions asked: what role do novels play in the lives of authors, Yu Hua and Otar Chiladze? What are the general parallels and differences between these two novels? How are past traumatic experiences represented in the Chinese and Georgian novels chosen for research?

To summarize and generalize the reasoning developed in the main part of this paper, we provide answers to the research questions posed in order to achieve the research goal:

According to research, both *To Live* and *The Basket* are influential modern novels. Both depict the vicious face of the totalitarian regime; however, with Otar Chiladze, the judgment of the characters and the country's situation is done openly, whereas Yu Hua does it covertly. The differences are due to the peculiarities of Chinese traditional culture, by it Yu Hua avoids censorship; in both novels, there is an emphasis on the importance of life, despite the authors' differing perspectives on its significance. Life, according to the Georgian author, is worth fighting for something, but it is valuable to the Chinese author in any case. We discovered during our research that trauma is depicted in both novels, albeit in different ways. *To Live*, in particular, is represented in the novel by repetition, and in *The Basket* by a fragmented narrative.

The work is useful for both theoretical and practical researchers. The analysis and results presented in this paper will provide a reasonable understanding of the issue.

Keywords: Trauma and identity, Yu Hua, *To Live*, Otar Chiladze, *The Basket*